



სახელმწიფოს რეაგირება ელიტური კორუფციის ათ სავარაუდო შედეგებზე



MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

DANIDA

INTERNATIONAL
DEVELOPMENT COOPERATION

სახელმწიფოს რეაგირება ელექტური კორუფციის ამ სავარაუდო შემთხვევაზე



თბილისი
2023

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი: ეკატერინე ციმაკურიძე
ანგარიშის ავტორები: ეკატერინე ციმაკურიძე
მიხეილ წურწუშია



MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

DANIDA | INTERNATIONAL
DEVELOPMENT COOPERATION

ანგარიში მომზადდა ევროპის ფონდის დაფინანსებით, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევროპის ფონდის და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

სარჩევი

| | |
|--|-----------|
| მოკლე შეჯამება..... | 4 |
| ძირითადი მიგნებები..... | 6 |
| თავი I..... | 8 |
| კორუფციის მდგომარეობა საქართველოში საერთაშორისო შეფასებების მიხედვით..... | 8 |
| თავი II..... | 11 |
| მაღალი დონის კორუფციის სავარაუდო შემთხვევები და სახელმწიფოს რეაგირება | |
| საქმეების მიმოხილვა..... | 11 |
| 2.1. ვასილ ჩიგოგიძე – ახალდაარსებული კომპანიის მიერ მოგებული მრავალმილიონიანი სახელმწიფო გრანტი..... | 11 |
| 2.2. სხვადასხვა უწყების მაღალი თანამდებობის პირთა მხრიდან წინასაარჩევნო მოსყიდვა..... | 13 |
| 2.3. გოჩა ენუქიძე – შეღავათიან ფასად პრივატიზებული სახელმწიფო ქონება..... | 17 |
| 2.4. ვალერი გელაშვილი – შეღავათიან ფასად პრივატიზებული სახელმწიფო ქონება..... | 19 |
| 2.6. ლევან მგალობლიშვილი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევა..... | 22 |
| თავი III..... | 27 |
| პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობა..... | 27 |
| 3.1. ელგუჯა გოცირიძე – სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა..... | 28 |
| 3.2. ლევან მგალობლიშვილი – სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა..... | 31 |
| 3.3. გოჩა ენუქიძე – ჩართულობა სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა..... | 34 |
| რეკომენდაციები..... | 35 |

მოკლე შეჯამება

ანგარიში თავს მოუყრის და აანალიზებს მაღალი თანამდებობის პირების საქმიანობაში ჟურნალისტური გამოძიებით გამოვლენილი კორუფციის ნიშნების შესახებ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს მიერ წარმოებულ ათ საქმეზე საქართველოს პარლამენტისა და პროკურატურის რეაგირებას.

ევროპის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „პოლიტიკური კორუფციის ფაქტების ჟურნალისტური გამოძიება და ადვოკატირება“ ფარგლებში, 2022 და 2023 წლებში ტელეკომპანია TV პირველის საგამოძიებო ჯგუფმა, მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე ორი ამერიკელი ექსპერტის ჩართულობით, გამოავლინა და საზოგადოებას ამცნო ათი ჟურნალისტური გამოძიების შედეგები პარლამენტის წევრების და ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების საქმიანობაში კორუფციის ნიშნების არსებობის შესახებ. ჟურნალისტური გამოძიებით გამოვლენილი სავარაუდო სამართალდარღვევების სპეციფიკიდან გამომდინარე, დემოკრატიის ინდექსი – საქართველომ დარღვევებზე რეაგირებისათვის მიმართა კომპეტენტურ უწყებებს.

6 შემთხვევაში, შემდგომი რეაგირების მიზნით, მიმართვა გაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, ერთ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ხოლო 3 შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში. ხსენებული 10 საქმიდან 8 საქმე კვლავ განხილვის პროცესშია, 2 შემთხვევაში კი მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არ დაიწყო გამოძიება.

პარლამენტის წევრების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის სავარაუდო 4 შემთხვევიდან, სამ შემთხვევაში გენერალურ პროკურატურაში კვლავ მიმდინარეობს საკითხის შესწავლა – თითქმის ორი წლის შემდეგაც კი გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ერთ შემთხვევაში დაიწყო გამოძიება, რომელიც 1 წელი და 6 თვეა გრძელდება და პროკურატურას არ გამოუვლენია ბრალდებული პირები.

პარლამენტის წევრების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის სავარაუდო კიდევ 2 შემთხვევაში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არ დაიწყო გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობაზე მითითებით. მიუხედავად წარდგენილი ფაქტებისა და დოკუმენტაციისა საგამოძიებო ორგანო დანაშაულის ნიშნების არარსებობაზე არ მსჯელობს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საგამოძიებო ორგანომ გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყო. მხოლოდ საგამოძიებო ორგანოს შეუძლია დაასკვნას, რომ არ არის ჩადენილი დანაშაული და შეწყვიტოს გამოძიება.

2020 წლიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ რამდენჯერმე დააკისრა ჯარი-მა, გასცა და წარუდგინა განკარგულება პარლამენტის წევრის მიერ მიტაცებულ მუნიციპალურ მიწის ნაკვეთზე სახლის უკანონო მშენებლობის დანგრევის შესახებ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, სასამართლომ არაერთხელ მოისმინა დამნაშავის საჩივარი. მიუხედავად საქმეში ჩართული სახელმწიფო უწყებების რაოდენობისა დანაშაულის აღკვეთასთან დაკავშირებით, პარლამენტის წევრის მიერ აღნიშნული საქმიანობა კვლავ გრძელდება. დეპუტატთა სავარაუდო შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის სამი შემთხვევიდან, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს არც ერთ შემთხვევაში არ დაუდგენია პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებლობა. კომიტეტის თავმჯდომარე (და არა თავად კომიტეტი) შეუთავსებლობის მხოლოდ ფორმალურ კრიტერიუმებს ამოწმებს, და არ შეისწავლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. კომიტეტის მიერ საკითხის გამოკვლევა არასრულყოფილია და არ სრულდება პარლამენტის რეგლამენტის პროცედურების დაცვით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლოს საქართველოს პარლამენტმა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას პარლამენტის წევრის სტატუსთან სამენარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის გამო 2006 წელს დაუჭირა მხარი, რის საფუძველზეც ორ დეპუტატს შეუწყდა უფლებამოსილება. ამის შემდეგ პარლამენტს მსგავსი შემთხვევა არ განუხილავს. 2006 წლიდან საქართველოს პარლამენტმა განიხილა და შეუწყვიტა უფლებამოსილება მხოლოდ 44 პარლამენტის წევრს აღმასრულებელ ხელისუფლებაში საჯარო თანამდებობის დაკავების გამო, რაც ავტომატურად იწვევს შეუთავსებლობის გამო პარლამენტის წევრის სტატუსის შეწყვეტას.

წინამდებარე ანგარიშში განხილულმა ათივე შემთხვევამ აჩვენა, რომ მაღალი დონის, ე.წ. ელიტური კორუფციის შემთხვევების გამოძიება არასათანადოდ, ან საერთოდ არ ხდება. სავარაუდო კორუფციის შემთხვევებთან დაკავშირებით დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს მიერ გაკეთებული და ფაქტებით გამყარებული მიმართვებიდან, სახელმწიფოს რეაგირებას საბოლოო შედეგი არც ერთ შემთხვევაში არ მოჰყოლია.

ქირითაღი მიგნებები

ელიტური კორუფციის დანაშაულზე რეაგირებასთან დაკავშირებული მიგნებები:

- პროკურატურაში 2022 და 2023 წლებში წარმოებული 4 საქმიდან ამ დრომდე არცერთზე არ დამდგარა შედეგი: არ არის დასრულებული გამოძიება, არ არიან გამოვლენილი ბრალდებულები;
- გამოძიება დაიწყო ერთ საქმეზე, რომელიც წელიწადი და ერთი თვეა მიმდინარეობს;
- კორუფციული დანაშაულის სავარაუდო 4 შემთხვევიდან სამზე ჭიანჭურდება გამოძიების დაწყება, კერძოდ, გამოძიების დაწყების გარეშე თვეები და ზოგჯერ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს გარემოებების შესწავლა;
- ორ საქმეზე, პროკურატურამ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით არ დაიწყო გამოძიება, მიუხედავად აღწერილი დანაშაულისა და წარდგენილი მტკიცებულებებისა. უარი გამოძიების დაწყებაზე არ იყო დასაბუთებული.

პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ სამენარმეო საქმიანობაზე რეაგირებასთან დაკავშირებული მიგნებები:

- დეპუტატთა სავარაუდო შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის სამი შემთხვევიდან, საპროცედურო საკითხთა კომიტეტს არც ერთ შემთხვევაში არ დაუდგენია შეუთავსებლობა;
- შეუთავსებლობის შესახებ საკითხი არ გასულა განსახილველად საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე და არ მომზადებულა კომიტეტის დასკვნა, როგორც ამას პარლამენტის რეგლამენტი თვალისწინებს;
- საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის რეაგირება შემოიფარგლება საკითხის ფორმალური მხარის შემოწმებით და არ ხდება შეუთავსებლობის ფაქტობრივი მხარის გამოკვლევა.
- პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი პრაქტიკაში არ იყენებს სპეციალურ მექანიზმებს (სათანადო წერილობითი მასალის გამოთხო-

ვა¹; ქონებრივი დეკლარაციის გაანალიზება²; ოფიციალური პირების გამოკითხვა დეპუტატთან დაკავშირებული ბრალდებების შესახებ³; ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება⁴; დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა.⁵) რომელთა გამოყენების შესახებ აცნობა GRECO-ს⁶, საქართველოსთვის რეკომენდაციების შესრულების საპასუხოდ.

- არ არსებობს ერთიანი მიდგომა პარლამენტის წევრისთვის ახსნა-განმარტების ფორმასთან დაკავშირებით. შეუძლებელია იმის დადგენა თუ რეალურად რა შინაარსის იყო ზეპირი ახსნა-განმარტება და სად აისახა იგი საბოლოოდ;
- პარლამენტის წევრის ახსნა-განმარტება არ პასუხობს პარლამენტის წევრის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, არ ეხება საქმეს, თუმცა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მიღებულია როგორც უტყუარი მტკიცებულება.

თბილისის მერიის რეაგირებასთან დაკავშირებული მიგნებები:

2020 წლიდან თბილისის მერიის და სხვა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების არაეფექტური რეაგირების გამო დეპუტატის მიერ მუნიციპალური მინის დაკავება და ამ მინაზე სახლის უკანონო მშენებლობა გრძელდება.

¹ პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი

² პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი

³ პარლამენტის რეგლამენტის მე-40.

⁴ პარლამენტის რეგლამენტის 41-ე მუხლი.

⁵ პარლამენტის რეგლამენტის 61-ე მუხლი.

⁶ FOURTH EVALUATION ROUND Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors SECOND COMPLIANCE REPORT GEORGIA, Recommendation iii, 21, <https://rm.coe.int/fourth-evaluation-round-corruption-prevention-in-respect-of-members-of/1680a21666>, [16.08.2023.]

თავი I

კორუფციის გლობალური საქართველოში საერთაშორისო შეფასებების მიხედვით

კორუფციის კუთხით საქართველოში ამჟამად არსებული ვითარება უარყოფითად ხასიათდება არაერთი საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ. ქვემოთ მოყვანილი შეფასებების საერთო სურათი ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებული ვითარება კორუფციის მიმართულებით ბოლო წლებში გაუარესდა და სტაგნაციას განიცდის.

2012 წლის შემდეგ, „კორუფციის აღქმის ინდექსში“ საქართველოს ქულა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.⁷ ბოლო, 2022 წლის მონაცემებით, საქართველო 56 ქულით შეფასდა. იგივე შეფასება ჰქონდა საქართველოს 2017, 2019 და 2020 წლებშიც. 2012 წლიდან დღემდე საქართველოს შეფასება 52-დან 58 ქულამდე მონაკვეთში მერყეობს და ქვეყანამ ამ პერიოდის მაქსიმუმს მხოლოდ ერთხელ – 2018 წელს მიაღწია.⁸

გარდა ამისა, საქართველო მოხვდა იმ საყურადღებო 9 ქვეყანას შორის, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ შეფასებით, უფრო აქტიური მონიტორინგი და დამატებითი ყურადღება ესაჭიროება. აღნიშნულ სიაში ქვეყნები მათ მიერ არჩეული, განვითარების პრობლემური კურსის გამო ხვდებიან.⁹

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) 2019 წლის მეორე პროგრესის ანგარიში¹⁰, რომელიც აფასებს მის მიერ საქართველოში ანტიკორუფციული რეფორმების მეოთხე რაუნდის შეფასების¹¹ შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, აღნიშნულია, რომ 22 გაცემული რეკომენდაციიდან: მნიშვნელოვანი პროგრესი არც ერთში დაფიქსირებულა, პროგრესად შეფასდა 17 რეკომენდაციის შესრულება, პროგრესის არარსებობა დაფიქსირდა 4 რეკომენდაციის შესრულებაში, ხოლო ერთი რეკომენდაცია არ შეფასდა.

ამ ფონზე, საქართველოს მთავრობამ უარი თქვა „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) მონიტორინგში

⁷ CORRUPTION PERCEPTION INDEX, TI, იხ: <https://www.transparency.org/en/cpi/2022/index/geo> [28.08.2023.]

⁸ იქვე.

⁹ 9 COUNTRIES TO WATCH ON THE 2022 CORRUPTION PERCEPTIONS INDEX, 14.02.2023., იხ: <https://www.transparency.org/en/blog/cpi-2022-corruption-watch-list-united-kingdom-sri-lanka-georgia-ukraine> [28.08.2023.]

¹⁰ OECD, ISTANBUL ANTI-CORRUPTION ACTION PLAN FOURTH ROUND OF MONITORING GEORGIA, იხ: <https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Progress-Update-2018-ENG.pdf> [28.08.2023.]

¹¹ OECD, Anti-corruption reforms in Georgia 4 th round of monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, იხ: <https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf> [28.08.2023.]

მონაწილეობაზე.¹² მონიტორინგის მე-5 რაუნდის ფარგლებში, 2023 წელს უნდა შეფასებულიყო ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორცაა: ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; კორუფციის კანონის პრაქტიკაში აღსრულება, მათ შორის თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების სისტემის ფუნქციონირება; სასამართლოსა და პროკურატურის სისტემების ფუნქციონირება; და მაღალი დონის კორუფციული შემთხვევების გამოძიების ეფექტურობა.¹³

ევროპის საბჭოს ქვეყნების კორუფციის წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფის (GRECO) შეფასების მეოთხე რაუნდის ფარგლებში, საქართველოს 2016 წელს 16 რეკომენდაცია მიეცა, რომლებიც უკავშირდება კორუფციის პრევენციას პარლამენტის წევრებს, მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის.¹⁴ აქედან, საქართველომ დამაკმაყოფილებლად შეასრულა ან დამაკმაყოფილებელი წესით დაარეგულირა 16 რეკომენდაციიდან მხოლოდ 8 რეკომენდაცია. დარჩენილი რეკომენდაციებიდან ექვსი შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ორი არ შესრულებულა.¹⁵

„მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტმა“ (WJP), გამოაქვეყნა 2022 წლის სამართლის უზენაესობის ინდექსი,¹⁶ რომლის მიხედვითაც საქართველო კორუფციის არარსებობის კომპონენტში 31-ე ადგილს იკავებს 140 ქვეყანას შორის. ანგარიშის მიხედვით, კორუფციის მიმართულებით მდგომარეობა საქართველოში 2015 წლიდან 2020 წლამდე 5 პუნქტით გაუარესდა, ხოლო დღემდე – ფიქსირდება სტაგნაციის პერიოდი. კორუფციის არარსებობის კრიტერიუმის ორ ქვეჯგუფში, რომელიც პარლამენტს და აღმასრულებელ ხელისუფლებას შეეხება, ბოლო წლებში უარყოფითი ტენდენცია და გაუარესება ფიქსირდება. კერძოდ, პარლამენტში კორუფციის არარსებობის ინდექსი 0.67-დან 0.51-ამდე გაუარესდა, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ინდექსი 0.72-დან 0.60-ზე.

ევროკომისიის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებული შეფასების მიხედვით, ქვეყანამ ელიტურ კორუფციაზე უნდა გააძლიეროს მუშაობა, აღნიშნული მეოთხეა იმ 12 პრიორიტეტიდან, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად.¹⁷ 2020 წლიდან 2022 წლამდე ელიტური კორუფციის

¹² ნეტგაზეთი, საქართველომ ანტიკორუფციული გარემოს შეფასებაზე უარი თქვა – NGO-ები, 27.06.2023. იხ: https://netgazeti.ge/news/677059/?fbclid=IwAR2Gy_Pa46mvF1RjXa98HpQMTyTs4LPYffyxUWbChAPZD-s2O9izhWwVhm-E [16.08.2023.]

¹³ იქვე.

¹⁴ ევროპის საბჭოს ქვეყნების კორუფციის წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფის (GRECO) შეფასების მეოთხე რაუნდი, კორუფციის პრევენციას პარლამენტის წევრებს, მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის, 02.12.2016, იხ: FOURTH EVALUATION ROUND (coe.int) [16.08.2023.]

¹⁵ იქვე, გვ 18.

¹⁶ ინფორმაცია იხ: <https://worldjusticeproject.org/rule-of-law-index/country/2022/Georgia/Absence%20of%20Corruption/> [16.08.2023.]

¹⁷ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL AND THE COUNCIL, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, 17.05.2022., გვ. 8, იხ: Georgia opinion and Annex.pdf (europa.eu), [18.08.2023.]

საქმეებზე გამოტანილია 28 განაჩენი, საიდანაც კორუფციის 21 საქმეზე გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი. ამ საქმეებზე დამნაშავეებად ცნეს, მათ შორის, მინისტრის მოადგილე, რაიონული პროკურორის მოადგილე, გამგებლები და საკრებულოს წევრები. მიუხედავად აღნიშნულისა, ევროკომისია მიიჩნევს, რომ აუცილებელია უფრო მაღალი დონის კორუფციასთან, გამკლავება და კორუფციის ფართომასშტაბიანი გავლენის აღმოფხვრა როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროში.¹⁸

¹⁸ იქვე.

თავი II

მაღალი დონის კორუფციის საპარაულდო შემთხვევები და სახელმწიფოს რეაბირება საქმეების მიმოხილვა

ანგარიშში განხილულ საქმეებში დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებებისა და ფიგურანტი პირების თანამდებობებიდან გამომდინარე, ყველა მათგანი განეკუთვნება, ელიტური, ანუ მაღალი დონის კორუფციის საპარაულდო შემთხვევებს.

კორუფცია ყველაზე ხშირად განისაზღვრება როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მისაღებად.¹⁹ მაღალი დონის კორუფცია, როგორც წესი, ეხება თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ან და ნებისმიერ დასჯად ქმედებაში მონაწილეობას სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირების ან გავლენიანი პოლიტიკოსების მიერ, პირადი (მათ შორის ოჯახის წევრის ან სხვა დაკავშირებული მხარისთვის) სარგებლის მიღებისთვის.²⁰ მაღალი თანამდებობის პირებში კი, ამ დეფინიციის მიზნებისთვის, მოიაზრებიან როგორც არჩეული, ისე დანიშნული თანამდებობის პირები.²¹

2.1. ვასილ ჩიგოგიძე – ახალდაარსებული კომპანიის მიერ მოგებული მრავალმილიონიანი სახელმწიფო გრანტი

საქმის გარემოებები

საქართველოს პარლამენტის წევრის, მმართველი პარტია „ქართული ოცნებიდან“, ვასილ ჩიგოგიძის შვილის საკუთრებაში დარეგისტრირებულმა კომპანიამ, შპს „ალმონდ ფლაუერი 2022“, დაარსებიდან ერთ თვეში, სოფლის განვითარების სააგენტოსგან, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ ფარგლებში მიიღო სახელმწიფო გრანტი. ფაქტები ნარმოშობს ვარაუდს, რომ კომპანიამ სახელმწიფოსგან გრანტი მიიღო, საქართველოს პარლამენტის წევრის, ვასილ ჩიგოგიძის კორუფციული გავლენების მეშვეობით. კერძოდ:

- 2022 წლის 8 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის წევრის, ვასილ ჩიგოგიძის შვილმა, გიორგი ჩიგოგიძემ, შპს „ალმონდ ფლაუერი 2022“ დააფუძნა.²²

¹⁹ კორუფციის დეფინიციის, საერთაშორისო გამჭვირვალობა, იხ: <https://www.transparency.org/en/what-is-corruption> [03.09.2023.]

²⁰ OECD, Istanbul Anti-Corruption Action Plan 5th Round of Monitoring Guide, გვ. 5, [03.09.2023.]

²¹ იქვე.

²² იხ. დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

- 2022 წლის 9 მარტს, კომპანიის დაარსებიდან ერთ თვეში, შპს ალმონდ ფლაუერ 2022-მა“, სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტოდან, 249 999 94 ლარის დაფინანსება მიიღო.²³
- ერთი თვის დაფუძნებულმა კომპანიამ, სახელმწიფოსგან მიიღო დადგენილებით²⁴ გათვალისწინებული გრანტის მაქსიმალური ოდენობა, რაც აჩენს გონივრულ ეჭვებს, დაფინანსების მიზნობრიობასთან დაკავშირებით.
- სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე²⁵ განთავსებული ინფორმაციის მოკვლევის შედეგად არ იძებნება ისეთი კომპანიები, რომლებმაც შპს „ალმონდ ფლაუერის“ მსგავსად, არაგონივრულად მოკლე დროში მიიღეს დადგენილებით განსაზღვრული გრანტის მაქსიმალური ოდენობა.

სახელმწიფოს რეაგირება

ზემოხსენებულ ფაქტებში შესაძლოა იკვეთებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული (სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ) დანაშაულის ან სხვა დანაშაულის ნიშნები. 2023 წლის 23 იანვარს, მივმართეთ გენერალურ პროკურატურას, ვასილ ჩიგოგიძის მიერ ჩადენილი სავარაუდო კორუფციული დანაშაულის გამოძიების მოთხოვნით.²⁶

რეაგირების შესახებ ინფორმაციის რამდენჯერმე მოთხოვნის შემდეგ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2023 წლის 13 აპრილს შეგვატყობინა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოში ამჟამად მიმდინარეობს წერილში დაფიქსირებული გარემოებების შესწავლა, რომელიც ეხება სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში კომპანია „ალმონდ ფლაუერის“ დაფინანსების საკითხს. გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით საბოლოო გადანყვეტილება უწყებაში ჯერ მიღებული არ არის.²⁷

²³ ვასილ ჩიგოგიძის სავარაუდო კორუფციული დანაშაულის შესახებ საგამოძიებო სიუჟეტი: ღარიბი ხალხის ფულით აყვავებული მილიონერების ბიზნესი – YouTube, 2:40 – 2:52 წთ.

²⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №56, მუხლი 17, პუნქტი 1. „სანერგეების კომპონენტი ითვალისწინებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიზნობრიობ(ებ)ის თანადაფინანსებას არა უმეტეს ჯამური ღირებულების 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 250 000 ლარისა“.

²⁵ სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდი, იხ. ბმულზე: <http://www.rda.gov.ge/>

²⁶ ა(ა)იპ „დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს“ 2023 წლის 25 იანვრის, №03-434-2023 წერილი. 2023 წლის 31 მარტს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ხელახლა გაიგზავნა მიმართვა, წინამდებარე გამოძიების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. ა(ა)იპ „დემოკრატიის ინდექსი საქართველოს“ №03-491-2023 წერილი. წერილი უწყებამ უპასუხოდ დატოვა.

²⁷ იხ. სადეპუტატო კითხვა: <https://info.parliament.ge/#mpqs/10949>. [19.08.2023.]

კანონის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამოძიებელი, პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება.²⁸ სწორედ გამოძიების ეტაპზე უნდა იქნას შესწავლილი ფაქტები. ხოლო გამოძიების დაწყების შემგომ, თუკი დადგინდება რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, დაწყებული გამოძიება უნდა შეწყდეს.²⁹ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ე.წ. „გარემოებების შესწავლა“ უკვე 8 თვეა მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების შესახებ კვლავაც არ მიუღია უწყებას. გამოძიების დაწყების ამგვარი გაჭიანურება ხელს უშლის დანაშაულის ყოველმხრივ და დროულ გამოძიებას (აფერხებს მტკიცებულებების მოპოვებას, მონმეთა ხელმისაწვდომობას და ა.შ.).

2.2. სხვადასხვა უწყების მალალი თანამდებობის პირთა მხრიდან წინასაარჩევნო მოსყიდვა

ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გამოვლინდა, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, მმართველი პარტიის მალალი თანამდებობისა და მათთან დაახლოებული პირების მხრიდან, ხმების მობილიზების მიზნით, ადგილი ჰქონდა პატიმრებზე შესაძლო ზენოლას, მოსყიდვას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, უფლებამოსილების გადამეტებასა და სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველ სხვა ფაქტებს. ზემოხსენებული გარემოებები ჟურნალისტთა მხრიდან დადასტურებულია სხვადასხვა დოკუმენტით, მათ შორის, შიდაპარტიული, შესაბამისი პირების მიერ ხელმოწერილი მოხსენების ბარათებითა და უშუალოდ დასახელებულ პირებთან ან მათი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციით. კერძოდ:

- სიუჟეტში ფიქსირდება კრწანისის გამგებლის, ბექა მიქაუტაძის მიერ ხელმოწერილი მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ის მმართველ პარტიას სთხოვს, ბათუმის მესამე იზოლატორის პატიმრის, გაიოზ გელაშვილის გლდანის სასჯელალსრულების დაწესებულებაში გადაყვანას. დოკუმენტში პატიმრის პირადი მონაცემებიც მითითებულია. მოხსენებითი ბარათი საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2 კვირით ადრეა დაწერილი. აღნიშნულთან დაკავშირებით თავად ბექა მიქაუტაძე სიუჟეტში მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ეს დოკუმენტი ყალბია. პატიმრის გადაყვანის მიზეზად დოკუმენტში მითითებულია, რომ გაიოზ გელაშვილმა, მუხიანში მცხოვრებ „ქუჩის ბიჭებს“ სატელეფონო კომუნიკაციით, საკუთარი ავტორიტეტის გამოყენებით უნდა დაავალოს ხმების მობილიზება. მმართველმა პარტიამ, დავალება აღსასრულებლად პენიტენციურ სამსახურს გადაუგზავნა.

²⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილი.

²⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

სიუჟეტში გაიოზ გელაშვილის მეზობელი ადასტურებს, რომ ის სასჯელს ბათუმის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში იხდიდა და რომ გაიოზ გელაშვილი, ბათუმიდან თბილისთან ახლოს, ქსნის სასჯელალსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს.³⁰

- საქართველოს მოქალაქე, დავით გოგოლაძეზე მმართველი პარტიისათვის ხმების მობილიზების სანაცვლოდ, პარტია „ქართული ოცნების“ დახმარებით, გაცა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიური შემოწმების ყალბი დასკვნა, რაც ესაჭიროებოდა მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მოსახსნელად. აღნიშნული პარტიულ დოკუმენტებშია მითითებული, რაც სიუჟეტში ფიგურირებს. დავით გოგოლაძე ჟურნალისტთან საუბარში თავად ადასტურებს, რომ მას ნარკოტიკის მოხმარების გამო პასუხისმგებლობის სახით ჩამორთმეული ჰქონდა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა. ასევე, ის ადასტურებს, რომ ეხმარებოდა პარტია „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში ხმების მობილიზებაში.³¹
- საქართველოს მოქალაქე, ზაზა სიმონიშვილი, მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმების მობილიზების სანაცვლოდ, პროკურატურამ გაათავისუფლა წინასწარი დაკავების იზოლატორიდან. სიუჟეტში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, თუ როგორ მიმართავს მმართველი პარტია საქართველოს პროკურატურას და უთითებს, რომ ზემოხსენებული პირის განთავისუფლება არის ძალიან მნიშვნელოვანი, საჩქარო და მას უნდა გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება ან პირობითი მსჯავრი შეეფარდოს.³²
- „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების მიმართების შემდგომ, იუსტიციის სამინისტროს ჩართულობით, მმართველი პარტიისათვის ხმების მობილიზების სანაცვლოდ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ვადამდე გაათავისუფლდნენ ან პირობითი მსჯავრი გაუუქმდათ, შემდეგ პირებს: გრიგოლ მამალაძე, გიორგი ხუნდაძე, კობა კვარაცხელია და ელგუჯა ჯავახიშვილი. ფაქტი სიუჟეტში დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით.³³
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ მმართველი პარტიისათვის წინასაარჩევნო მხარდაჭერისა და ხმების მობილიზების სანაცვლოდ, ჩამორთმეულ ავტოსატრანს-

³⁰ წინასაარჩევნო მოსყიდვის ფაქტებთან დაკავშირებული საგამოძიებო სიუჟეტი: How Georgian Dream buys votes of prisoners – YouTube, 2:35 – 5:50 წთ.

³¹ იქვე: 5:51 – 7:45 წთ.

³² იქვე: 7:46 – 8:31 წთ.

³³ იქვე: 8:31 – 10 35 წთ.

პორტო საშუალებათა მართვის მონმობები აღუდგინა რამდენიმე ათეულ პირს. აღნიშნული ფაქტები, სიუჟეტში დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით.³⁴

- მმართველი პარტიისათვის პირადი და ოჯახის წევრების საარჩევნო მხარდაჭერის გამოსატვის სანაცვლოდ, გენერალური პროკურორის მიერ, თეიმურაზ ანჯაფარიძეს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო გიორგი მამალაძე გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან. წინამდებარე ფაქტები სიუჟეტში – დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტური მასალებითა და ინტერვიუებით.³⁵
- მცხეთის ყოფილი მერის, გიორგი კაპანაძის მიერ მმართველი პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძისა და პარლამენტის წევრის, დიმიტრი ხუნდაძის მიმართვის შემდგომ, პენიტენციური სამსახურის ჩართულობით, წინასაარჩევნო მხარდაჭერის მისაღებად პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ კონკრეტული პირები. სიუჟეტში ფაქტები ასევე დასტურდება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული პირების ოჯახის წევრებთან ინტერვიუებით.³⁶

სახელმწიფოს რეაგირება

ზემოხსენებულ ფაქტებში შესაძლოა იკვეთებოდეს ერთ-ერთი შემდეგი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები: სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილი), სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა (სსკ 333-ე მუხლის პირველი ნაწილი) ან ცალკეული პირების მიერ ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ნიშნები (სსკ 1641-ე მუხის მე-2 ნაწილი).

2022 წლის 29 მარტს მივმართეთ გენერალურ პროკურატურას,³⁷ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს,³⁸ საქართველოს სახალხო დამცველს³⁹ და საქართველოს პარლამენტის წევრებს,⁴⁰ საკითხზე შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით.

³⁴ იქვე: 10:35 – 13:05 წთ.

³⁵ იქვე: 13:06 – 14:56 წთ. სიუჟეტში ჟურნალისტი მიუთითებს მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ წევრების მიერ ხელმოწერილ, მათ შორის, შიდაპარტიულ მოხსენებით ბარათებს. აგრეთვე, თეიმურაზ ანჯაფარიძის და ჟურნალისტთან სატელეფონო საუბრისას ადასტურებს იმ ფაქტს რომ მისი ძმა თავისუფალია თუმცა არ განმარტავს რის საფუძველზე მოხდა მისი გათავისუფლება.

³⁶ იქვე: 14:57 – 18:39 წთ.

³⁷ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 29 მარტის, №03-288-2022 წერილი.

³⁸ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 29 მარტის, №03-298-2022 წერილი.

³⁹ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 29 მარტის, №03-290-2022 წერილი.

⁴⁰ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 29 მარტის, №03-291-2022 წერილი. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, წერილით მივმართეთ ასევე საქართველოს პარლამენტის წევრებს, შეექმნათ საგამოძიებო კომისია, სიუჟეტში ასახული სისტემური დანაშაულების შესწავლის მიზნით, რასაც პარლამენტის მხრიდან არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება.

11 თვიანი ინფორმაციის დაზუსტების მცდელობის შემდგომ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მხოლოდ 2023 წლის 14 თებერვალს (2022 წლის 30 დეკემბრის წერილზე პასუხად)⁴¹ შეგვატყობინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.⁴² 11 თვის შემდეგ, 2023 წლის 13 აპრილს, გენერალური პროკურატურისაგან გვეცნობა, რომ საჯარო მოხელეთა მხრიდან, წინასაარჩევნო პერიოდში, ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტებთან დაკავშირებით, 2022 წლის 28 ივლისს (დანაშაულის შეტყობინებიდან 4 თვის შემდეგ), საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო ცალკეული საჯარო მოხელეების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტებზე.

სახალხო დამცველმა, ჩვენს მიერ გაზიარებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმართა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს და მოითხოვა გენერალური პროკურატურის მიერ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ინფორმაცია.⁴³ პროკურატურამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. პროკურატურის აღნიშნული პასუხის მიღების შემდეგ, სახალხო დამცველმა გვაცნობა, რომ კანონის თანახმად აპარატს არ გააჩნია მიმდინარე სისხლის სამართლის მასალებზე წვდომის უფლებამოსილება, რის გამოც სახალხო დამცველის მანდატი ამონურულად ჩაითვა და ჩვენს განცხადებაზე წარმოება დასრულდა.⁴⁴

სადეპუტატო კითხვაზე გენერალური პროკურატურის 2023 წლის აგვისტოს პასუხის თანახმად, საქმეზე გამოძიების დაწყებისთანავე, მყისიერად გამოიკითხნენ შესაბამისი პირები, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან, გამოთხოვილი იქნა გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მასალები. ამჟამად, საქმეზე კვლავ გრძელდება სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული მოცულობითი ინფორმაციის დამუშავება/ანალიზი და სხვა საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებები. სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის/პირების მიმართ დაწყებული არ არის.⁴⁵

კანონის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულია დაიწყო გამოძიება.⁴⁶ სწორედ გამოძიების ეტაპზე უნდა იქნას შესწავლილი ფაქტები. ხოლო გამოძიების დაწყების შემდგომ, თუკი დადგინდება რომ

⁴¹ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 30 დეკემბრის, №03-428-2022 წერილი.

⁴² საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 14 თებერვლის, №13/9639 წერილი.

⁴³ სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 13 აპრილის №15-3/3927 წერილი.

⁴⁴ სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 ნოემბრის №15-3/11601 წერილი.

⁴⁵ იხ. სადეპუტატო კითხვა და პასუხი: <https://info.parliament.ge/#mpqs/10949>. [19.08.2023.]

⁴⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილი.

არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, დაწყებული გამოძიება უნდა შეწყდეს.⁴⁷ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ე.წ. „გარემოებების შესწავლა“ 4 თვე მიმდინარეობდა. გამოძიების დაწყების ამგვარი გაჭიანურება ხელს უშლის დანაშაულის ყოველმხრივ და დროულ გამოძიებას (აფერხებს მტკიცებულებების მოპოვებას, მონშეთა ხელმისაწვდომობას და ა.შ.).

2.3. გოჩა ენუქიძე – შეღავათიან ფასად პრივატიზებული სახელმწიფო ქონება

2014 წლის 31 დეკემბერს, შპს „იბერკომპანია“ (ს/კ 231963818), რომლის წილების 100%-ს საქართველოს პარლამენტის წევრი, გოჩა ენუქიძე ფლობს, სავარაუდო კორუფციული გარიგებების შედეგად, შეღავათიან ფასებში, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, პრივატიზაციის გზით მიიღო სახელმწიფო ქონება.⁴⁸ მის ქმედებაში იკვეთება ასევე სამენარმეო საქმიანობაში უკანონოდ მონაწილეობის ნიშნები და კორუფციული გარიგებები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილთან და მთავრობის სხვა წევრებთან. კერძოდ:

- 2014 წლის 31 დეკემბერს, შპს „იბერკომპანის“ (ს/კ: №211358181), საქართველოს მთავრობის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 800 000 (რვაასი ათასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცა 3526 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.⁴⁹
- საპრივატიზაციო პროცესად განისაზღვრა: უძრავ ქონებაზე, ან/და მის ნაწილზე არანაკლებ 12 000 კვ.მ. ფართის მქონე შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა და კანონით დადგენილი წესით, ექსპლუატაციაში მიღება, განკარგულებით გათვალისწინებული, ასაშენებელი შენობა-ნაგებობ(ებ)ის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში, არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.
- 2016 წლის 13 ივნისს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის განკარგულებაში შევიდა ცვლილება. ცვლილების მიხედვით, გოჩა ენუქიძის კომპა-

⁴⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁴⁸ იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის განკარგულება №2620 „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „იბერკომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“.

⁴⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №2620 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბერკომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ იხ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2678082?-publication=0>

ნიას 42 თვით გაუხანგრძლივდა საინვესტიციო ვალდებულებების შესრულება.⁵⁰

- იმისათვის, რომ შპს „იბერკომპანიას“ საინვესტიციო შეთავაზება მიეღო, გორა ენუქიძეს ჰქონდა პირდაპირი კომუნიკაცია იმ დროს მოქმედ ვიცე პრემიერ, დიმიტრი ქუმსიშვილთან.⁵¹ კომუნიკაციის ფაქტზე დეპუტატმა სიუჟეტში განაცხადა, „მე გითხარით, რომ კომუნიკაციაში მივიღე მონაწილეობა, როდესაც კომპანიიდან წამოვიდა წინადადება, ბატონ დიმიტრის ვიცინობდი, ერთი გუნდის და მთავრობის წევრები ვართ, ასე კომუნიკაციაში მივხვდარე [კომპანიას].“⁵²
- საინვესტიციო შეთავაზების შედეგად, შპს „იბერკომპანიამ“ საბაზრო ფასზე გაცილებით დაბალ ფასად მიიღო თბილისის ცენტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, რითაც ზიანი მიაღწა სახელმწიფო ბიუჯეტს.⁵³
- ქონების გასასხვისებლად სახელმწიფოს არ ჩაუტარებია აუქციონი, რათა მაღალი ყოფილიყო კონკურენცია და მიწის ნაკვეთიც, შესაბამისად, მაღალ ფასად გაყიდულიყო და არც სახელმწიფო ბიუჯეტს ეზარალა.
- ამასთან, გორა ენუქიძის კომპანიისათვის მიწის ნაკვეთის შეღავათიან ფასში გადაცემა დროში დაემთხვა დეპუტატის მნიშვნელოვან გადანყვეტილებას, გასულიყო საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქციიდან.

სახელმწიფოს რეაგირება

გორა ენუქიძის ქმედებებში შესაძლოა იკვეთებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რომელიც დასჯად ქმედებად განსაზღვრავს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობას, კერძოდ, პირადად ან სხვისი მეშვეობით კანონით დადგენილი აკრძალვების მიუხედავად, საწარმოს მართვაში მონაწილეობას, თუ ეს დაკავშირებულია მისთვის უკანონო შეღავათის ან უპირატესობის დაწესებასთან ან მის სხვა ფორმით მფარველობასთან.

⁵⁰ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №1120 განკარგულება, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბერკომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №2620 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ იხ. ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3314743?-publication=0>

⁵¹ საგამოძიებო სიუჟეტი გორა ენუქიძის სავარაუდო კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებით: Properties transferred in ownership for 1 GEL to Parliament Members 29/05/2021 – YouTube: 8:35 – 11:42 წთ.

⁵² იქვე: 10:30 – 10:47 წთ.

⁵³ იქვე: 8:10 – 8:35 წთ.

2021 წლის 21 ოქტომბერს მიემართეთ გენერალურ პროკურატურას, გოჩა ენუქიძისა და მთავრობის მაღალი თანამდებობის პირების სავარაუდო კორუფციული დანაშაულების გამოძიების მოთხოვნით.⁵⁴

ჩვენი მიმართვის შემდგომ, ამავე საქმეზე პროკურატურაში გაიგზავნა სამი სადეპუტატო კითხვა: 2021 წლის 9 ნოემბერს⁵⁵, 2022 წლის 30 დეკემბერს⁵⁶ და 2023 წლის 14 თებერვალს⁵⁷.

წელიწადის და ოთხი თვის განმავლობაში ინფორმაციის დაზუსტების მცდელობის შემდგომ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მხოლოდ 2023 წლის 14 თებერვალს (2022 წლის 30 დეკემბრის წერილზე პასუხად)⁵⁸ და 2023 წლის 13 აპრილს (სადეპუტატო კითხვაზე პასუხად)⁵⁹, გასცა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გენერალურ პროკურატურაში მიმდინარეობს საკითხის შესწავლა და გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.⁶⁰

კანონის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება.⁶¹ სწორედ გამოძიების ეტაპზე უნდა იქნას შესწავლილი ფაქტები. ხოლო გამოძიების დაწყების შემდგომ, თუკი დადგინდება რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, დაწყებული გამოძიება უნდა შეწყდეს.⁶² აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ე.წ. „გარემოებების შესწავლა“ უკვე წელიწადზე მეტია თვეა მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების შესახებ კვლავაც არ მიუღია უწყებას. გამოძიების დაწყების ამგვარი გაჭიანურება ხელს უშლის დანაშაულის ყოველმხრივ და დროულ გამოძიებას (აფერხებს მტკიცებულებების მოპოვებას, მონმეთა ხელმისაწვდომობას და ა.შ.).

2.4. ვალერი გელაშვილი – შეღავათიან ფასად პრივატიზებული სახელმწიფო ქონება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მმართველი პარტიიდან წარდგენილი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის, ვალერი გელაშვილის კომპანიას, შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/კ 204531088), თბილისის ცენტრში, შეღავათიან ფასად, პირდაპირი მიყიდვის

⁵⁴ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს 2021 წლის 21 ოქტომბრის, №03-237-2021 წერილი.

⁵⁵ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს 2021 წლის 9 ნოემბრის, №03-243-2021 წერილი.

⁵⁶ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს 2022 წლის 30 დეკემბრის №03-428-2022 წერილი

⁵⁷ სადეპუტატო კითხვა და მასზე პასუხი, იხ.: <https://info.parliament.ge/#mpqs/10949>. [19.08.2023.]

⁵⁸ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 30 დეკემბრის, №03-428-2022 წერილი.

⁵⁹ სადეპუტატო კითხვა და მასზე პასუხი, იხ.: <https://info.parliament.ge/#mpqs/10949>. [19.08.2023.]

⁶⁰ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 14 თებერვლის, №13/9639 წერილი.

⁶¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ფორმით გადაეცა მინის ნაკვეთი. მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში იკვეთება კორუფციული გარიგების ნიშნები, ვალერი გელაშვილისა და პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ლარიბაშვილის მონაწილეობით.

- 2014 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით,⁶³ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 500 000 (ხუთასი ათას) ლარად შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/კ 204531088) საკუთრებაში გადაეცა 4170 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი.⁶⁴
- განკარგულების მიხედვით, შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ საპრივატიზო პრობეზად განესაზღვრა, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, ამ განკარგულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხის გადახდა, ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, ხსენებულ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის/კომპლექსის მშენებლობა და არანაკლებ 2 600 000 (ორი მილიონ ექვსასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.
- დედაქალაქის ცენტრში პრივატიზებული არასასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთის რეალური საბაზრო ღირებულება განკარგულებაში განსაზღვრულ თანხას – 800 000 ლარს, 8-ჯერ აღემატებოდა. შესაბამისად, მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს ბიუჯეტმა დაკარგა 3 500 000 ლარზე მეტი შემოსავალი.⁶⁵
- საქართველოში და განსაკუთრებით დედაქალაქში სამშენებლო ბიზნესი ეკონომიკის ერთ-ერთი მზარდი სფეროა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებითაც დასტურდება, 2014 წლამდეც და მის შემდგომაც, დროის მოკლე მონაკვეთში მსგავსი ტიპის ბიზნესის ბრუნვის მოცულობა რამდენჯერმე გაიზარდა.⁶⁶ გამომდინარე აქედან, დაუსაბუთებელია მთავრობის გადაწყვეტილება, იმ ფონზე როდესაც ისედაც სწრაფად მზარდი სამშენებლო ბიზნესისათვის დამატებითი სახელმწიფო სახსრები (ტერიტორია) გამოეყო.

⁶³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №2337 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ლიტ ჯეო ინვესტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ იხ: ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2649244?publication=0>, [16.08.2023.]

⁶⁴ ზუსტი მისამართი: ქ. თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონი, მე-5 კვარტალში, სანდრო ეულის ქუჩა №5.

⁶⁵ სიუჟეტში არსებული საბაზრო ფასების შესახებ თავად პრივატიზებულ ტერიტორიაზე აშენებული საცხოვრებელი კომპლექსის – „საბურთალო პალასის“ მენეჯერი საუბრობს. ვალერი გელაშვილისა და მთავრობის სხვა წევრების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების შესახებ სიუჟეტი: Properties transfered in ownership for 1 GEL to Parliament Members 29/05/2021 – YouTube, 2:14 – 3:14 წთ. [16.08.2023.]

⁶⁶ წინამდებარე სტატისტიკური ინფორმაცია იხ. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ვებ-გვერდზე: <https://www.geostat.gov.ge/ka>. [16.08.2023.]

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით⁶⁷, საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ქონებას არ უნდა განკარგავდეს მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით თვითმმართველ ქალაქებში. ქალაქთმშენებლობის ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტთა საკუთარი უფლებამოსილებაა. აღნიშნულს თბილისში ახორციელებს არა საქართველოს, არამედ თბილისის მთავრობა⁶⁸.
- საქართველოს მთავრობის მხრიდან, შპს „იბერკომპანიისათვის“ მიწის პრივატიზებიდან 2 თვეში, ვალერი გელაშვილმა სასამართლოში ჩვენება მისცა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ოპონენტის – საქართველოს მე-3 პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე.⁶⁹
- ამას ემატება ისიც, რომ ვალერი გელაშვილმა, მმართველ პარტიას, 2012, 2014 და 2016 წლებში, ჯამში 150 000 ლარი შესწირა.⁷⁰

სახელმწიფოს რეაგირება

ზემოხსენებულ ფაქტებში შესაძლოა იკვეთებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, კერძოდ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა (სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2021 წლის 21 ოქტომბერს მივმართეთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, დაეწყოთ გამოძიება ზემოხსენებულ სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით.⁷¹

ჩვენი მიმართვის შემდგომ, ამავე საქმეზე გაიგზავნა სამი სადეპუტატო კითხვა: 2021 წლის 9 ნოემბერს⁷², 2022 წლის 30 დეკემბერს⁷³ და 2023 წლის 14 თებერვალს⁷⁴.

⁶⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი.

⁶⁸ ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „ე.ბ“ პუნქტი.

⁶⁹ ვალერი გელაშვილისა და მთავრობის სხვა წევრების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების შესახებ სიუჟეტი: Properties transferred in ownership for 1 GEL to Parliament Members 29/05/2021 – YouTube, 6:00 – 6:14 წთ. [16.08.2023.]

⁷⁰ პარტიული შემოწირულებები იხ. ბმულზე: ვალერი გელაშვილი – პარტიების შემოწირულებები (transparency.ge). [16.08.2023.]

⁷¹ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს 2021 წლის 26 ოქტომბრის, №03-236-2021 წერილი.

⁷² დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს 2021 წლის 9 ნოემბრის, №03-244-2021 წერილი.

⁷³ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს 2022 წლის 30 დეკემბრის №03-428-2022 წერილი.

⁷⁴ სადეპუტატო კითხვა და მასზე პასუხი, იხ.: <https://info.parliament.ge/#mpqs/10949>. [19.08.2023.]

რამდენიმე თვიანი ინფორმაციის დაზუსტების მცდელობის შემდგომ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მხოლოდ 2023 წლის 14 თებერვალს (2022 წლის 30 დეკემბრის წერილზე პასუხად)⁷⁵ და 2023 წლის 13 აპრილს (სადეპუტატო კითხვაზე პასუხად)⁷⁶, შეგვატყობინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გენერალურ პროკურატურაში მიმდინარეობს საკითხის შესწავლა და გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, საბოლოო გადანაცვები მიღებული არ არის.⁷⁷

კანონის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამოძიებელი, პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება.⁷⁸ სწორედ გამოძიების ეტაპზე უნდა იქნას შესწავლილი ფაქტები. ხოლო გამოძიების დაწყების შემგომ, თუკი დადგინდება რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, დაწყებული გამოძიება უნდა შეწყდეს.⁷⁹ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ე.წ. „გარემოებების შესწავლა“ უკვე წელიწადზე მეტია მიმდინარეობს და საბოლოო გადანაცვები გამოძიების დაწყების შესახებ კვლავაც არ მიუღია უწყებას. გამოძიების დაწყების ამგვარი გაჭიანურება ხელს უშლის დანაშაულის ყოველმხრივ და დროულ გამოძიებას (აფერხებს მტკიცებულებების მოპოვებას, მონმეთა ხელმისაწვდომობას და ა.შ.).

2.6. ლევან მგალობლიშვილი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ქართული ოცნებიდან, ლევან მგალობლიშვილმა, წყნეთში (გრიშაშვილის ქუჩა №16ა) უკანონოდ მიისაკუთრა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე, ასევე უკანონოდ, სახლი ააშენა.⁸⁰

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირების მოთხოვნით, 2023 წლის 18 იანვარს განცხადებით მიემართეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, მოეხდინათ რეაგირება ზემოხსენებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით.⁸¹ თბილისის მერიამ, 2023 წლის 20 თებერვალს გვაცნობა,⁸² რომ:

- 2020 წლის 17 თებერვალს, მუნიციპალიტეტის ინსპექციამ მიიღო დადგენილება,

⁷⁵ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 30 დეკემბრის, №03-428-2022 წერილი.

⁷⁶ იხ. სადეპუტატო კითხვა და მასზე პასუხი: <https://info.parliament.ge/#mpqs/10949>.

⁷⁷ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 14 თებერვლის, №13/9639 წერილი.

⁷⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁷⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁸⁰ იხ. ლევან მგალობლიშვილის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული საგამოძიებო სიუჟეტი: ოცნების დეპუტატმა წყნეთში მიწა მიიტაცა და სახლი ააშენა – YouTube., [17.08.2023.]

⁸¹ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2023 წლის 18 იანვრის, №03-433-2023 წერილი.

⁸² ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023 წლის 20 თებერვლის, №17-01230511478 წერილი.

სიუჟეტში ნახსენები უკანონო მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით. დარღვევის გამოსწორებამდე, მუნიციპალიტეტის ინსპექციამ, 2020 წლის 12 მარტს გასცა სააღსრულებო ფურცელი.

- ვინაიდან მხარემ არ შეასრულა მუნიციპალური ინსპექციის ზემოხსენებული გადაწყვეტილება, 2020 წლის 6 ივლისს, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა უნებართვო მშენებლობის შემონმების აქტი და სამართალდარღვევაზე დაიწყო საქმისწარმოება.
- 2020 წლის 5 აგვისტოს, მუნიციპალურმა ინსპექციამ მხარე დააჯარიმა 50 000 ლარით, მერიის წინარე გადაწყვეტილებების შეუსრულებლობისათვის. დადგენილება, რომლითაც მხარე დაჯარიმდა, გასაჩივრდა მუნიციპალიტეტის მერიაში. მერიამ 2020 წლის 16 ოქტომბერს, მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
- 2020 წლის 21 აგვისტოს მუნიციპალური ინსპექციის დადგენილებით, მხარე დაჯარიმდა 25 000 ლარით, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტების გარეშე სახლის აშენებისათვის. მხარემ წინამდებარე აქტიც გაასაჩივრა მუნიციპალიტეტის მერიაში. მერიის მიერ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ზემოხსენებული ფაქტები მხარის მიერ გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც დღემდე მიმდინარეობს საქმის განხილვა.

კანონის თანახმად, თუ უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი დადგენილია და მინის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემისა და შემონმების აქტის შედგენის საფუძველზე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და დამრღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, **რომლის გასაჩივრებაც არ აჩერებს აღნიშნული დადგენილების მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში.**⁸³

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება დღემდე არ არის აღსრულებული, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კონკრეტულ პირებთან მიმართებით უწყებები კანონის გვერდის ავლით მოქმედებენ და არ აღასრულებენ გადაწყვეტილებას.

2023 წლის 31 მარტს, ზემოხსენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხ-

⁸³ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 128-ე მუხლისმე-4 ნაწილი. ასევე, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

ვევის მონიტორინგის მოტივით, ვინაიდან მასზე არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოვითხოვეთ იმ ადმინისტრაციული აქტების ასლები, რითაც მხარე დაჯარიმდა. ასევე, გამოვითხოვეთ სასამართლოში მიმდინარე საქმის მასალები, მათ შორის საქმის გაჭიანურების სავარაუდო მიზეზების შესახებ ინფორმაცია.⁸⁴ აღნიშნულ წერილზე თბილისის მერიამ, 2023 წლის 12 აპრილს გვაცნობა, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა ფიზიკური პირის პერსონალურ მონაცემებს, რის საფუძველზეც უარი გვეთქვა ინფორმაციის გაცემაზე.⁸⁵

იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება მაღალი თანამდებობის პირის მიერ სავარაუდო კანონდარღვევის შემთხვევას, არსებობს საკითხთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. ამას გარდა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა. გარდა ამისა, უწყებას მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, შეეძლო სხვა პირთა მონაცემების დაშტრიხული ფორმით გაცემა.

პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყებაზე უარი

პროკურატურას მივმართეთ დამატებით ორ საქმესთან დაკავშირებით:

ა. 2016 წლის დეკემბერში დეპუტატ ფრიდონ ინჯიას შვილმა, ილია ინჯიამ სახელმწიფო-გან აუქციონის წესით 5 მილიონ ლარად შეიძინა 17 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 120 ნომრიანი მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისა და რეკრეაციული სივრცის მოწყობის პირობით.⁸⁶ 2018 წლის 22 თებერვალს სასტუმრო კომპლექსის დასრულების დროისათვის, ილია ინჯიამ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს მიმართა სასტუმრო კომპლექსის ნაცვლად საცხოვრებელი კორპუსის აშენების ნებართვის მოთხოვნით. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა 2019 წლის 19 მარტის პასუხით არ დააკმაყოფილა ილია ინჯიას მოთხოვნა. 4 თვის შემდგომ, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეცვალა გადაწყვეტილება და გასცა ნებართვა სასტუმროს ნაცვლად საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შესახებ. ამ ოთხი თვის განმავლობაში, ტერიტორიაზე არ მომხდარა ისეთი სატრანსპორტო ან/და ინფრასტრუქტურის ცვლილება, რომელიც სანებართვო პირობის შეცვლის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო.⁸⁷ 2019 წლის 18 ოქტომბერს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მიიღო დადგენილება ტერიტორიისთვის, სადაც ილია ინჯიას მრავალბინიანი საცხოვრებელი უნდა აეშენებინა, სარეკრეა-

⁸⁴ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2023 წლის 31 მარტის, №03-492-2023 წერილი.

⁸⁵ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023 წლის 12 აპრილის, 610-01-231022250 წერილი.

⁸⁶ ფრიდონ ინჯიას სავარაუდო კორუფციული დანაშაულის შესახებ საგამოძიებო სიუჟეტი: ორთაჭალის თავზე 32 სართულს აშენებენ – YouTube: 3:21 – 3:50 წთ. [17.08.022.]

⁸⁷ ფრიდონ ინჯიას სავარაუდო კორუფციული დანაშაულის შესახებ საგამოძიებო სიუჟეტი: ორთაჭალის თავზე 32 სართულს აშენებენ – YouTube: 4:58 – 5:49 წთ. [17.08.022.]

ციო ზონის სტატუსის სამშენებლო ზონის სტატუსად შეცვლის შესახებ.⁸⁸ ამასთან, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, იმ ტერიტორიაზე სადაც ილია ინჯია საცხოვრებელ კორპუსს აშენებს „კლდოვანი ფერდის მთელ სიგრძეზე ფიქსირდება ქვათაცვენითი პროცესების მცირე კერები, რომელთა აკუმულაციის ზონა წარმოდგენილია კონუსების ფორმის რამდენიმე მეტრი სიმძლავრის მონატეხოვანი მასალის დაგროვებით“.⁸⁹

ბ. მაშინ, როდესაც გადაადგილება მხოლოდ სპეციალური საშვებით იყო ღამის საათებში დაშვებული, დეპუტატ ისკო დასენის ოჯახის წევრთა საკუთრებაში არსებული ტოტალიზატორები არ წყვეტდნენ საქმიანობას და იღებდნენ მომხმარებელს, რომლებსაც, მათი განცხადებით, გააჩნდათ სპეციალური საშვი. ეს ყელაფერი კი იმ ფონზე, როდესაც საშვები მხოლოდ კრიტიკულად აუცილებელი სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად უნდა გაცემულიყო; ამ ფონზე, იქმნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ მთავრობის გადანყვეტილება მორგებული იყო ისკო დასენის ოჯახის ბიზნესის ინტერესებზე და არ ითვალისწინებდა ვირუსის გავრცელების პრევენციას.

როგორც ისკო დასენის, ისე ფრიდონ ინჯიას საქმეებზე საგამოძიებო უწყებებმა უარი თქვეს გამოძიების დაწყებაზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ისე პროკურატურის განმარტებით, საკითხის შესწავლის შედეგად დანაშაულის ნიშნები არ გამოკვეთილა და შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა.⁹⁰

კანონის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამოძიებელი, პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება.⁹¹ სწორედ გამოძიების ეტაპზე უნდა იქნას შესწავლილი ფაქტები. ხოლო გამოძიების დაწყების შემგომ, თუკი დადგინდება რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, დაწყებული გამოძიება უნდა შეწყდეს.⁹² მოცემულ შემთხვევებში, ისე იქნა მიღებული გადანყვეტილება, რომ გამოძიება არც კი დაწყებულა, მიუხედავად აღწერილი დანაშაულის შემადგენლობისა და წარდგენილი მტკიცებულებებისა. კანონი არ იცნობს ე.წ. „მოკვლევის ეტაპს“, როგორც ეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიუთითა. შესაბამისად, შეტყობინების მიღებისთანავე უნდა დაწყებულიყო გამოძიება, ვინაიდან წარდგენილ შეტყობინებებში აღწერილი ქმედების დანაშაულებრივი ნიშნები და თან ერთვოდა შესაბამისი მტკიცებულებებიც. ამდენად, გამოძიების არდაწყებით დაირღვა საპროცესო კანონმდებლობა. თავის მხრივ,

⁸⁸ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №47-81 ის. ბმულზე: 47-81-2019.pdf (tb-sakrebulo.gov.ge) [17.08.022.]

⁸⁹ ფრიდონ ინჯიას სავარაუდო კორუფციული დანაშაულის შესახებ საგამოძიებო სიუჟეტი: ორთაჭალის თავზე 32 სართულს აშენებენ – YouTube: 7:41 – 7:59 წთ. [17.08.022.]

⁹⁰ იხ. სადებუტატო კითხვა და მასზე პასუხი: <https://info.parliament.ge/#mpqs/11519>, [17.08.022.]

⁹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

პროცესუალური ნორმების დაცვით რომ წარმართულიყო საკითხზე რეაგირება, უწყებას გამოძიების შეწყვეტა შესაბამისი დადგენილებით მოუწევდა.⁹³

⁹³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

თავი III

პარლამენტის წევრის სტატუსთან

შეუთავსებადი სამენარმო საქმიანობა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან ენეოდეს სამენარმო საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ენეოდეს საზოგადოებრივ საქმიანობას. ასევე, პარლამენტის წევრი შეიძლება ენეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს პარლამენტის რეგლამენტი.

ამასთან, პარლამენტის წევრს უფლება არ აქვს: უშუალოდ განახორციელოს არაერთ-ჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად; უშუალოდ განახორციელოს სამენარმო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან/და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტებით: ინტერესთა კონფლიქტი არსებობს, როდესაც საჯარო მოხელის კერძო ინტერესები უპირისპირდება მის საჯარო ვალდებულებას – ემსახუროს საჯარო ინტერესს.⁹⁴

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, „საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, სამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ინტერესების სანაღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც მის სამსახურებრივ უფლებამოსილებას არ განეკუთვნება“. კანონის წინამდებარე დათქმა, საჯარო მოხელეს უკრძალავს ისეთ გადაწყვეტილებებში ჩარევას, რომელიც არ განეკუთვნება მისთვის დაკისრებული თანამდებობის გამგებლობის სფეროს. ასეთ შემთხვევაში, პარლამენტის წევრს არ აქვს უფლება, მის ხელთ არსებული მანდატი გამოიყენოს საკუთარი ან ნათესავების ინტერესების დასაკმაყოფილებლად და მათთვის კონკრეტული, კანონსწინააღმდეგო უპირატესობის მისანიჭებლად.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, საჯარო მოხელე აუცილებელია პირნათლად ემსახუროს საჯარო ინტერესებს და არ ჰქონდეს რაიმე კოლიზია პირად ინტერესებთან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს. ვენეციის კომისიის

⁹⁴ უფრო დეტალურად იხილეთ: OECD, Managing Conflict of Interest in the Public Sector, Toolkit, 2005, page 13, definition. <https://www.oecd.org/corruption/ethics/49107986.pdf>, [17.08.2023.]

სტანდარტების მიხედვით, ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებული წესები მოტივირებულია იმ მიზნით, რომ პარლამენტის წევრს ჰქონდეს საკმარისი დრო, ემსახუროს საპარლამენტო მანდატს.⁹⁵

3.1. ელგუჯა გოცირიძე – სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა

საქართველოს პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნებიდან“, ელგუჯა გოცირიძე, უშუალოდ ახორციელებს კანონით აკრძალულ სამენარმეო საქმიანობას. კონკრეტულად კი, იგი ჩართულია აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის (ს/კ 202193544) სამენარმეო საქმიანობაში, რაც დასტურდება შემდგომი ფაქტობრივი გარემოებებით:

- დეპუტატმა ჟურნალისტი დაიბარა სანარმოს საკუთრებაში არსებულ სივრცეში, იმ პირობით, რომ გააცნობდა საავადმყოფოს ფინანსურ დოკუმენტაციას. კანონით ასეთი დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ სანარმოს მართვაში ჩართული პირებისათვის. ხოლო, პირს რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს სანარმოს მართვასთან, ვერ ექნებოდა წვდომა მსგავს ინფორმაციაზე.⁹⁶
- დეპუტატმა მითითება მისცა სანარმოს თანამშრომელს, წარმოედგინა სამედიცინო დაწესებულების ფინანსური დოკუმენტაცია, რითაც მან ფაქტობრივად შეითავსა სანარმოს მმართველის ფუნქცია-მოვალეობები.⁹⁷
- დეპუტატმა სანარმოს მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი უშუალოდ ახორციელებს რეინვესტირებას. მენარმეთა რეესტრის მონაცემების მიხედვით დეპუტატი არ ფლობს წილს სანარმოში. საავადმყოფოს 20%-იანი წილის მესაკუთრე და 100%-იანი წილის მმართველი მისი შვილი, გიგი გოცირიძეა. შესაბამისად, ერთადერთი პარტნიორი, რომელიც რეინვესტირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებდა, იყო ეს უკანასკნელი.⁹⁸
- დეპუტატმა აღიარა, რომ ჩართულია სანარმოს საქმიანობაში და მის შვილს გიგი გოცირიძეს, რომელიც სანარმოს 100% წილის მმართველია, აძლევს კონ-

⁹⁵ European Commission for Democracy Through Law, Report on the Democracy, Limitation Of Mandates And Incompatibility Of Political Functions, CDL-AD (2012)050, Venice, 2012, 13 September, გვ. 76.

⁹⁶ ელგუჯა გოცირიძის სავარაუდო სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ფაქტის შესახებ სიუჟეტი: Wealth accumulated on people's behalf – YouTube, 2:38 – 2:40 წთ., [17.08.2023.]

⁹⁷ იქვე: 3:03 – 3:15 წთ.

⁹⁸ იქვე: 7:07 – 7:10 წთ.

სულტაციებს. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად კი, დეპუტატს ეკრძალება სანარმოს საკონსულტაციო ორგანოს წევრობაც.⁹⁹

სამართლებრივი რეაგირება

კანონის მიხედვით, თუ პარლამენტის წევრი სამენარმეო საქმიანობას ეწევა, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ამ ფაქტის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში გამოითხოვს სათანადო წერილობით მასალას, იღებს მისგან ახსნა-განმარტებას და ამზადებს შესაბამის დასკვნას. თუ დადასტურდა პარლამენტის წევრის მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელება, დასკვნა გადაეცემა პარლამენტის ბიუროს, რომელსაც უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეაქვს საკითხი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.¹⁰⁰

ვინაიდან სწორედ შეუთავსებლობის სავარაუდო შემთხვევასთან გვეკონდა საქმე, 2021 წლის 24 ივნისს მივმართეთ კომიტეტს, შეესწავლათ ელგუჯა გოცირიძის შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობა.¹⁰¹

აღნიშნულის საპასუხოდ, 2021 წლის 7 ივლისს კომიტეტმა გაგვიზიარა ინფორმაცია მისი რეაგირების შესახებ. კომიტეტმა მოიძია სამენარმეო რეესტრის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, დეპუტატი, ფორმალურად არ იყო სანარმოს მმართველობა-წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და არც კომპანიის წილებს ფლობდა. მიუხედავად ჩვენს მიერ გაზიარებული მტკიცებულებების, რომელიც მეტყველებდა ელგუჯა გოცირიძის სავარაუდო ჩართულობაზე სამენარმეო საქმიანობაში, შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების ფაქტი, კომიტეტმა ვერ გამოავლინა.¹⁰²

აღნიშნულის პასუხად კომიტეტს საკითხის დამატებით დაზუსტების მიზნით 2021 წლის 18 ოქტომბერს მივმართეთ.¹⁰³ დამაზუსტებელი წერილით მოთხოვნილი იყო ინფორმაცია მოკვლევის დეტალების თაობაზე, კერძოდ: ჩატარდა თუ არა კომიტეტის სხდომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ამას მოითხოვს კანონი; გამოითხოვა თუ არა კომიტეტმა წერილობითი ინფორმაცია გარემოებების შესწავლის მიზნით; იყო თუ არა მოთხოვნილი ახსნა-გამარტება პარლამენტის წევრისაგან და მიიღო თუ არა კომიტეტმა შესაბამისი დასკვნა.

⁹⁹ იქვე: 8:16 – 8:30, 13:20 – 13:27 წთ.

¹⁰⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁰¹ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს 2021 წლის 14 ივნისის, №03-180-2021 წერილი.

¹⁰² საქართველოს პარლამენტის საპროცედურო და წესების კომიტეტის, 2021 წლის 7 ივლისის (№6961/4-12/21) წერილი.

¹⁰³ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს 2021 წლის 18 ოქტომბრის №03-230-2021 წერილი.

კომიტეტმა საკითხის განსახილველად საჭირო ინფორმაცია ზეპირი ფორმით მოიძია და მიიღო კომპანიის ხელმძღვანელი პირებისაგან, დეპუტატის სამენარმეო საქმიანობაში ჩართულობასთან დაკავშირებით. დეპუტატს ასევე ჩამოერთვა ზეპირი ახსნა-განმარტება.¹⁰⁴ წერილშივეა მითითებული, რომ ელგუჯა გოცირიძის განცხადებით, წილის მმართველი მისი შვილი, გიგი გოცირიძეა და მას კომპანიასთან, როგორც საზოგადოების პარტნიორს, არ აქვს ურთიერთობა. ხოლო ჟურნალისტების ვიზიტი წინასწარ იყო შეთანხმებული კომპანიის მენეჯმენტთან, და ხელმძღვანელ პირებთან, რასაც ელგუჯა გოცირიძის განმარტებით, არაფერი აქვს საერთო სამენარმეო საქმიანობის განხორციელებასთან.

თუკი ლევან მგალობლიშვილისაგან ახსნა-განმარტება წერილობით იქნა მიღებული, ელგუჯა გოცირიძის შემთხვევაში კომიტეტის ცნობით აღნიშნული ზეპირი ფორმით განხორციელდა. იკვეთება არაერთგვაროვანი მიდგომა ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით და ყველა შემთხვევაში არ ხდება მისი სათანადოდ დოკუმენტირება.

ბუნდოვანია, თუ რა შინაარსის იყო ელგუჯა გოცირიძის ახსნა-განმარტება და სად აისახა იგი საბოლოოდ, რადგან არ არსებობს არც კომიტეტის სხდომის ოქმი, ვინაიდან იგი საერთოდ არ ჩატარებულა და არც დასკვნა, სადაც აღნიშნულის თაობაზე იქნებოდა მოცემული ინფორმაცია.

კომიტეტს სრულყოფილად არ შეუსწავლია ელგუჯა გოცირიძის სავარაუდო, შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის ფაქტი. არ ყოფილა გამოყენებული რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა შესაძლო ბერკეტი. კერძოდ, არ გამოუთხოვია სათანადო წერილობითი მასალა, საკითხი განსახილველად არ გასულა კომიტეტის სხდომაზე და არ მომზადებულა სათანადო დასკვნა, როგორც ამას კანონი თვალისწინებს.¹⁰⁵

გარდა ამისა, კომიტეტს დამატებით არ გამოუყენებია რეგლამენტის არც ერთი მექანიზმი, რომელიც დაეხმარებოდა მას შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის ფაქტების გამოკვლევასა და გამოვლენაში. კერძოდ, არ ყოფილა გამოყენებული:

- რეგლამენტის მე-40 და 41-ე მუხლები, რომლებიც პარლამენტის კომიტეტებს უფლებას აძლევს გამოჰკითხონ სახელმწიფოს ოფიციალური პირები დეპუტატთან დაკავშირებული ბრალდებების შესახებ;
- რეგლამენტის 61-ე მუხლი, რომელიც იძლევა დროებითი საგამოძიებო კომისიის

¹⁰⁴ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო და წესების კომიტეტის, 2021 წლის 7 ივლისის (№6961/4-12/21) და 2021 წლის პირველი ნოემბრის (№10805/2-7/21) წერილები.

¹⁰⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.

შექმნის საშუალებას, იმ შემთხვევაში თუ კი ადგილი აქვს თანამდებობის პირის, მათ შორის პარლამენტის წევრის მხრიდან, სამართლებრივ გადაცდომას.

3.2. ლევან მგალობლიშვილი – სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა

საქართველოს პარლამენტის წევრი, მმართველი პარტია „ქართული ოცნებიდან“, ლევან მგალობლიშვილი უშუალოდ ახორციელებს კანონით აკრძალულ სამენარმეო საქმიანობას. კონკრეტულად კი, შპს „მარშალ დეველოპმენტისა“ (ს/კ 422432442) და შპს „მარშალ დიდი დილმის“ (ს/კ 405381643) სამენარმეო საქმიანობაში, რაც დასტურდება შემდგომი ფაქტობრივი გარემოებებით:

- იგი პირადად არის ჩართული მისი მეუღლის, ნონა ხიდირბეგიშვილის საკუთრებაში რეგისტრირებული კომპანიის (შპს „მარშალ დეველოპმენტი“) მეშვეობით სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაში. ამავე კომპანიის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებასაც დეპუტატი თავად კურირებს. რაც მუშების ნათქვამით დასტურდება. სიუჟეტში წარმოდგენილი ერთ-ერთი მუშა ჟურნალისტთან საუბარში ჰყვება, რომ მას პირადი კომუნიკაცია ჰქონდა ლევან მგალობლიშვილთან, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებასთან და სხვა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.¹⁰⁶
- დეპუტატი უკანონო სამენარმეო საქმიანობას ახორციელებს ასევე კომპანია „მარშალ დიდი დილმის“ მეშვეობით, რომლის წილების 100%-ის მფლობელი და დირექტორიც, დეპუტატის სიმამრი, მიხეილ ხიდირბეგიშვილია. კომპანია, დიდ დილოში, მირიან მეფის ქუჩაზე 15 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას გეგმავს. მშენებლობისათვის მუშებს თავად ლევან მგალობლიშვილი ეძებს და უშუალო მოლაპარაკებების პროცესშიც ის არის ჩართული.¹⁰⁷
- ამ ყველაფრის ფონზე, დეპუტატი იყო კანონპროექტის¹⁰⁸ თანაინიციატორი, რომელიც მოიაზრებდა მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის გაზრდას. მოსაკრებლის გაზრდა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ შეეხებოდა იმ ტიპის მშენებლობებს, რომლითაც ლევან მგალობლიშვილთან დაკავშირებული სამშენებლო კომპანიები არიან დაკავებულნი. საბოლოოდ კანონ-

¹⁰⁶ საგამოძიებო სიუჟეტი, ლევან მგალობლიშვილის შეუთავსებელ სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით: ოცნების დეპუტატმა მუშები მონებად ამუშავა – YouTube, 0:35 – 1:23, 2:40 – 3:06, 4:30 – 4:40 წთ. [17.08.2023.]

¹⁰⁷ იქვე: 5:17 – 5: 33 წთ.

¹⁰⁸ „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 08.06.2022. №7-3/220/10.

პროექტს პარლამენტმა მხარი დაუჭირა. ეს ყველაფერი ბადებს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ლევან მგალობლიშვილი საჯარო უფლებამოსილებას იყენებს კერძო, ბიზნეს ინტერესების პრივილეგირებისათვის.

სამართლებრივი რეაგირება

კომიტეტს სრულყოფილად არ შეუსწავლია ლევან მგალობლიშვილის სავარაუდო, შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის ფაქტი. არ ყოფილა გამოყენებული რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა შესაძლო ბერკეტი. კერძოდ, არ გამოუთხოვია სათანადო წერილობითი მასალა, საკითხი განსახილველად არ გასულა კომიტეტის სხდომაზე და არ მომზადებულა სათანადო დასკვნა, როგორც ამას კანონი თვალისწინებს.¹⁰⁹

გარდა ამისა, კომიტეტს დამატებით არ გამოუყენებია რეგლამენტის არც ერთი მექანიზმი, რომელიც დაეხმარებოდა მას შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის ფაქტების გამოკვლევასა და გამოვლენაში. კერძოდ, არ ყოფილა გამოყენებული:

- რეგლამენტის მე-40 და 41-ე მუხლები, რომლებიც პარლამენტის კომიტეტებს უფლებას აძლევს გამოჰკითხოთ სახელმწიფოს ოფიციალური პირები დეპუტატთან დაკავშირებული ბრალდებების შესახებ;
- რეგლამენტის 61-ე მუხლი, რომელიც იძლევა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საშუალებას, იმ შემთხვევაში თუ კი ადგილი აქვს თანამდებობის პირის, მათ შორის პარლამენტის წევრის მხრიდან, სამართლებრივ გადაცდომას.

2022 წლის 27¹¹⁰ და 2022 წლის 30 (დამატებითი წერილით)¹¹¹ დეკემბერს მივმართეთ კომიტეტს, შეესწავლათ ლევან მგალობლიშვილის შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობა.

კომიტეტმა შეისწავლა სამენარმეო რეესტრის მონაცემები, რომლის მიხედვითაც სიუჟეტში ხსენებულ კომპანიებში ლევან მგალობლიშვილი არ იკავებს ხელმძღვანელ თანამდებ-

¹⁰⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹¹⁰ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 27 დეკემბრის, №03-425-2022 წერილი.

¹¹¹ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს, 2022 წლის 30 დეკემბრის, №03-429-2022 დამატებითი წერილი, რომელიც შეეხებოდა, ისეთ გარემოებებს, რომ ლევან მგალობლიშვილი კანონმდებლის მანდატს იყენებდა მასთან დაკავშირებული კომპანიებისათვის პრივილეგიების მისანიჭებლად და არღვევდა საქართველოს კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კომიტეტს, აღნიშნულ წერილზე რეაგირება არ მოუხდენია.

2023 წლის 27 აპრილს, №03-493-20ს23 წერილით, მივმართეთ კომიტეტის წევრებს და თავად კომიტეტს ლევან მგალობლიშვილის შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის საკითხი შეესწავლათ ხელახლა, რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა ბერკეტის გამოყენებით. ხოლო საკითხი განსახილველად გასულიყო კომიტეტის სხდომაზე. წერილთან დაკავშირებით, ამ ეტაპამდე რეაგირება არ ყოფილა.

ბობას, ხოლო წილი გადაცემული აქვს მართვის უფლებით. საბოლოოდ, შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ფაქტი, კომიტეტმა ვერ გამოავლინა.¹¹²

ამასთან, ლევან მგალობლიშვილის მიერ სამენარმეო საქმიანობაში ფაქტობრივ ჩართულობასთან დაკავშირებით, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტის წევრისგან მოითხოვა ახსნა-განმარტება, რომელიც დანართის სახით გამოგვეგზავნა.¹¹³

ლევან მგალობლიშვილის წერილში, რომელიც კომიტეტმა როგორც ახსნა-განმარტება ისე გაგვიზიარა, აღნიშნულია, რომ ლევან მგალობლიშვილი, როგორც პარლამენტის წევრი შეურაცხყოფილია იმით, რომ მას აკავშირებენ ისეთ ქმედებებთან, როგორც შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაა. იგი აცხადებს, რომ მისი თითოეული ქმედება არის სამართლებრივად სწორი და კანონმდებლობასთან შესაბამისი. აღნიშნული ახსნა-განმარტება კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღო, როგორც უტყუარი მტკიცებულება, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე.

ახსნა-განმარტება არ პასუხობს ჟურნალისტურ გამოძიებასა და ორგანიზაციის განცხადებაში ასახულ დეპუტატის არც მუშებთან კომუნიკაციის ფაქტებს და არც იმას, რომ დეპუტატი იყო კანონპროექტის¹¹⁴ თანაინიციატორი, რომელიც მოიაზრებდა მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის გაზრდას და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეს არ შეეხებოდა იმ ტიპის მშენებლობებს, რომლითაც ლევან მგალობლიშვილთან დაკავშირებული სამშენებლო კომპანიები არიან დაკავებულნი.

კომიტეტის თავმჯდომარის პასუხი არ შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, გაიზიარა თუ არა კომიტეტმა პარლამენტის წევრის ახსნა-განმარტება და რა შეფასება მისცა მას. ამასთან, ამ დრომდე საკითხი არ ყოფილა განხილული კომიტეტის წევრთა მიერ კომიტეტის სხდომაზე.

კომიტეტის სხდომას ინვეს და მის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე, თავისი ინიციატივით.¹¹⁵ ის, რომ აღნიშნული საკითხი არ გამხდარა კომიტეტის

¹¹² საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის, 2023 წლის №828/4-12/23 წერილი.

¹¹³ ახსნა განმარტებაში დეპუტატი საუბრობს, რომ მას არანაირი კავშირი არ აქვს ხსენებულ სამენარმეო სუბიექტებთან. დეპუტატის ახსნა-განმარტება ჩაითვალა ვალიდურ და უტყუარ მტკიცებულებად, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, ისე რომ იგი არ შეფასებულა კომიტეტის სხდომაზე, რითაც დაირღვა პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნები. იხ. ლევან მგალობლიშვილის ახსნა განმარტება: 2023 წლის 27 იანვრის, №2-1002/23 წერილი.

¹¹⁴ „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 08.06.2022. №7-3/220/10.

¹¹⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 34-ე მუხლის მე- და მე-9 პუნქტები.

განხილვის საგანი, როგორც ამას კანონი მოითხოვს, არის კომიტეტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა. თავმჯდომარე არაა უფლებამოსილი კომიტეტის სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც სავარაუდო შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის გამოვლენა.

3.3. გორა ენუქიძე – ჩართულობა სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა

გორა ენუქიძის შემთხვევაში სახეზე გვაქვს როგორც სამენარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის (რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს) ისე ინტერესთა შეუთავსებლობის სავარაუდო შემთხვევა. შესაბამისად, გორა ენუქიძის შემთხვევის თაობაზე დეტალური ფაქტობრივი გარემოებები მოცემულია წინამდებარე ანგარიშის მეორე თავში.

ვინაიდან საქმეში იკვეთებოდა ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტი, 2021 წლის 3 ნოემბერს წერილით მივმართეთ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. კომიტეტს მოვთხოვეთ შეესწავლა საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატი არ არის სანარმოს დირექტორი და მისი წილების მართვა გადაცემული აქვს მესამე პირისთვის, მის მიერ სამინისტროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია შპს „იბერკომპანიისთვის“ მიწის პრივატიზების მიზნით, კვალიფიცირდება როგორც სამენარმეო საქმიანობა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ჩვენი მიმართვის პასუხად 2021 წლის 24 ნოემბერს გვაცნობა¹¹⁶, რომ კომიტეტმა შეისწავლა მენარმეთა რეესტრის მონაცემები, რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრი გორა ენუქიძე არ წარმოადგენს კომპანიის ხელმძღვანელობაზე ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს, ამდენად, ვერ გამოავლინა ინტერესთა კონფლიქტის ნიშნები.

აქაც, ისევე როგორც ზემოხსენებულ შემთხვევებში ფიქსირდება, რომ კომიტეტი საკითხის ყოველმხრივი და რეალური შესწავლის ნაცვლად, შეისწავლის მხოლოდ ფორმალურ კომპონენტებს – მენარმეთა რეესტრის მონაცემებს.

¹¹⁶ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის 2021 წლის 24 ნოემბრის №11606/4-12/21 წერილი.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- პარლამენტის წევრის საქმიანობაში კორუფციის ნიშნების არსებობის შესახებ საკითხის გამოკვლევის ფუნქცია, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტიდან, უნდა გადავიდეს დამოუკიდებელი ორგანოს კომპეტენციაში (მაგ. ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო).
- საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა პარლამენტის წევრის სამენარმეო საქმიანობის გამოკვლევა უნდა მოახდინოს ყოველმხრივ და სრულად, შეისწავლოს შესაძლო შეუთავსებლობის არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი მხარეც. გამოკვლევისას გამოყენებულ უნდა იქნას რეგლამენტით გათვალისწინებული მრავალფეროვანი მექანიზმები (წერილობითი მასალის გამოთხოვა, ქონებრივი დეკლარაციის გაანალიზება, ოფიციალური პირების გამოკითხვა დეპუტატთან დაკავშირებული ბრალდებების შესახებ, ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა და სხვა).
- პარლამენტის წევრის შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობის საკითხის პლენარულ სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ კომიტეტმა უნდა იმსჯელოს კომიტეტის სხდომაზე საკითხის განხილვის წესების დაცვით; საკითხის განხილვის შედეგად კომიტეტმა უნდა შეიმუშავოს დასაბუთებული დასკვნა, რომელიც ვერ დააბრკოლებს პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვას.
- პარლამენტის წევრის ახსნა-განმარტება არ უნდა იქნეს მიღებული უტყუარ მტკიცებულებად და მისი გადამონმება უნდა მოხდეს სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

საქართველოს პროკურატურას და სხვა საგამოძიებო უწყებებს:

- მაღალი თანამდებობის პირის ქმედებაში კორუფციული დანაშაულის ნიშნებზე გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული სწრაფად, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე.
- მაღალი თანამდებობის პირის ქმედებაში კორუფციული დანაშაულის ნიშნების არარსებობის და გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება

უნდა იყოს დასაბუთებული.

- მაღალი თანამდებობის პირის ქმედებაში კორუფციული დანაშაულის ნიშნების გამოძიების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს პარლამენტისთვის და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. გენერალური პროკურორის საპარლამენტო ანგარიშში უნდა აისახოს მეტი ინფორმაცია, მათ შორის, დანაშაულის ფაქტებზე მიმართვების რაოდენობის, გამოძიების ხანგრძლივობის შესახებ შესახებ და სხვა.

